ტვინების ბრძოლა
რეგიონული პირველობა | გაზაფხული 2024
U12 (IX, X, XI, XII კლასები)

1. 5-ქულიანი შეკითხვა
სერიალში “**რომი**” **ძველი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში** მოღვაწე **მხედარმთავარი** დაინახავს **ანკესიან** ბიჭს და გადაწყვეტს, **გადალახოს რუბიკი**. თავდაპირველი ფორმით აღადგინეთ სიტყვა, რომელიც წინა წინადადებაში **მცირედით** შევამოკლეთ.

პასუხი: რუბიკონი
კომენტარი: სერიალში იულიუს კეისარი შენიშნავს სათევზაოდ მიმავალ ბიჭს და მიხვდება, რომ მდინარე რუბიკონი უნდა გადალახოს. კეისრის მიერ რუბიკონის გადალახვა რომში სამოქალაქო ომის დაწყებას მოასწავებდა. ამ შეკითხვით ჩვენც გადავლახეთ რუბიკონი და დავიწყეთ თამაში.

2. 6-ქულიანი შეკითხვა
პანდემიის დროს გაპოპულარულებული **ვიდეოთამაშის** თავდაპირველი სახელი იყო “**იქსი კოსმოსში**”. სიტყვა “იქსი” **იტალიური** ენიდან მომდინარეობს და მას **ცნობილ სერიალში** უკავშირდება **გვარი სოპრანო**. დაასახელეთ იქსი **ხუთი ასოს** გამოყენებით.

პასუხი: მაფია
კომენტარი: პანდემიის პერიოდში პოპულარული იყო თამაში “Among Us” [ემონგ ასი], რომლის წესებიც დაფუძნებულია ცნობილ თამაშზე “მაფია”, ან გნებავთ, მაფიოზობანა. “სოპრანოს კლანი” იტალიურ-ამერიკული მაფიის შესახებ გადაღებული ცნობილი სერიალია.

3. 7-ქულიანი შეკითხვა
[დასარიგებელი მასალა



]
მასალაზე გამოსახულ პერსონაჟს თანამოსაუბრე ეკითხება, თუ **რა მოუვიდა სახეზე**. პერსონაჟი კითხვას **არ პასუხობს**, რაზეც თანამოსაუბრე ახსენებს **ცნობილ ფრაზას** გასული საუკუნის **90-იანი წლების ნაწარმოებიდან**. დაასახელეთ ეს ნაწარმოები.

პასუხი: მებრძოლთა კლუბი
კომენტარი: მასალაზე გამოსახულ პერსონაჟს ხელჩართული ბრძოლისგან მიყენებული ზიანის კვალი აღენიშნება, თუმცა ამაზე არ საუბრობს. ამ ფაქტის კომენტირებისას მისი თანამოსაუბრე ახსენებს მებრძოლთა კლუბის პირველ წესს, რომლის თანახმადაც, ჩვენ არ ვლაპარაკობთ მებრძოლთა კლუბზე.

4. 5-ქულიანი შეკითხვა
ერთ ნაწარმოებში **შვეიცარიელებზე** ნათქვამია, რომ ისინი **საიმედოდ ინახავენ** თავიანთ გრძნობებსა და ემოციებს, რის გამოც ავტორმა ისინი **შეადარა იქსს**. ფილმში "**მძარცველების არმია**" პერსონაჟი ვარჯიშობს **იქსის კომბინაციის** მაქსიმალურად **სწრაფად ამოხსნაში**. დაწერეთ იქსი ერთი უცხოური სიტყვით.

პასუხი: სეიფი
კომენტარი: შვეიცარია გამოირჩევა თავისი ყოვლისმომცველი საბანკო სისტემით, ამიტომ სიმბოლურია, რომ ავტორმა ისინი სეიფებს შეადარა. სიტყვა "საიმედო" დამატებითი მინიშნება იყო, რადგან ინგლისურ ენაში "Safe" ნიშნავს "უსაფრთხოს, საიმედოს". მრავალი სეიფი სპეციალური კომბინაციით იღება, ამიტომ ფილმის მძარცველი პერსონაჟი კომბინაციის ამოხსნაში ვარჯიშობს.

5. 6-ქულიანი შეკითხვა
გურამ დოჩანაშვილის ნაწარმოების **მატერიალისტი** პერსონაჟი **ხაზგასმით დაიხედავს ასეთ იქსზე**, რათა თანამოსაუბრეზე **მორალური უპირატესობა** მოიპოვოს. **ასეთი იქსის** ერთ **რეკლამაში** ჩამოთვლილია **ცურვა**, **ცივი შხაპი** და **ხელით რეცხვა**. დაწერეთ **ორი სიტყვა**, რომლებიც შევცვალეთ სიტყვებით "ასეთი იქსი".

პასუხი: წყალგამძლე საათი
კომენტარი: მატერიალისტი პერსონაჟი ცდილობს, ძვირადღირებულ ნივთზე ხაზგასმით თანამოსაუბრეზე მორალური უპირატესობა მოიპოვოს. წყალგამძლე საათის ერთ რეკლამაში ჩამოთვლილია, რას უძლებს ეს საათი: იგი არ გაფუჭდება, თუ მასთან ერთად ცურავთ, ცივ შხაპს იღებთ ან ხელით რეცხავთ.

6. 7-ქულიანი შეკითხვა
ერთი ინსტრუმენტული **კვარტეტის** სახელწოდებაა "**თითი**". წინა წინადადებაში ჩვენ **გამოვტოვეთ რიცხვითი სახელი**, რომელიც ფიგურირებს ცნობილი **ნაწარმოების სათაურში**. პასუხების ფურცელზე დაწერეთ ეს რიცხვითი სახელი.

პასუხი: 40
კომენტარი: კვარტეტი ოთხი მუსიკოსისგან შემდგარი მუსიკალური ჯგუფია, ოთხ მუსიკოსს კი ჯამში 40 თითი ექნებოდა. რიცხვი "40" ფიგურირებს ნაწარმოებში "ალი ბაბა და 40 ყაჩაღი".

7. 5-ქულიანი შეკითხვა
[დასარიგებელი მასალა
all Blacks]
ახალი ზელანდიის ეროვნული ნაკრები სპორტის მრავალ სახეობაში იყენებს **შავი ფერის ფორმებს**, რის გამოც მათ მოიხსენიებენ მასალაზე გამოსახული **მეტსახელით**. ახალი ზელანდიის

კალათბურთის ნაკრებს კი ხშირად მოიხსენიებენ **სახუმარო მეტსახელით**, რომელიც **ერთი ასოთი აღემატება** მასალაზე გამოსახულ მეტსახელს. პასუხების ფურცელზე დაწერეთ ეს ერთი **ლათინური** ასო.

პასუხი: T
კომენტარი: ახალი ზელანდიის სპორტული ფორმები ხშირად მთლიანად შავია, რის გამოც მათ მოიხსენიებენ მეტსახელით "ოლ ბლექს". კალათბურთელები სიმაღლით გამოირჩევიან, ამიტომ ზელანდიელ კალათბურთელებს "Tall Blacks"-ებსაც უწოდებენ. "Tall" ინგლისურიდან ითარგმნება, როგორც "მაღალი".

8. 6-ქულიანი შეკითხვა
[კაპიტნების რაუნდი. თითოეულ მაგიდასთან უნდა დარჩეს ერთი მოთამაშე, რომელიც შეიძლება იყოს ან არ იყოს კაპიტანი.]
სენ სიგურდსონი ამბობს, რომ **ისლანდიელები იქსს** აღიქვამენ **არა როგორც ბარიერს**, არამედ **როგორც გზას**. იქსმა სახელი მიიღო **მითოლოგიური პერსონაჟისგან**, რომელიც **თავითა** და **ხელებით** ატარებს **მძიმე ტვირთს**. დაასახელეთ იქსი **ორი** სიტყვით.

პასუხი: ატლანტის ოკეანე
კომენტარი: ისლანდია კუნძულია, შესაბამისად, ჩრდილოეთ ამერიკის ან კონტინენტური ევროპის მიწაზე მიმოსვლისთვის ისლანდიელები ყოველთვის იყენებდნენ ზღვაოსნობას. ამიტომ, ისლანდიელები ატლანტის ოკეანეს აღიქვამენ, როგორც გზას. ბერძნული მითოლოგიის გმირი, ატლანტი, იყო ტიტანი, რომელსაც ეჭირა ცის თაღი.

9. 7-ქულიანი შეკითხვა
ერთი ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ ინგლისის პარლამენტი სავსე იყო **ყალბი ადამიანებით**, რომლებიც **როლებს თამაშობდნენ**. ამის გამო, ისტორიკოსი **პარლამენტს ადარებს იქსს**. ერთ **მიმზე** გარკვეული **თეორიის მომხრეთათვის** იყიდება **სპეციალური იქსები**, რომლებიც პატარა **მრგვალ მაგიდადაც** გამოდგება. დაასახელეთ იქსი **შვიდი ასოს** გამოყენებით.

პასუხი: გლობუსი
კომენტარი: ინგლისელი ისტორიკოსი ინგლისის პარლამენტში მოღვაწე პირფერ ხალხს მსახიობებს უწოდებს და პარლამენტს ადარებს ინგლისის ყველაზე ცნობილ თეატრს - თეატრ "გლობუსს". მიმის მიხედვით, ბრტყელი დედამიწის თეორიის მომხრეებისთვის ცალკე იყიდება ბრტყელი გლობუსები, რომლებიც საყრდენზე მოთავსებული მრგვალი მაგიდის ფორმისაა.

10. 5-ქულიანი შეკითხვა
თქვენთვის ცნობილი ნაწარმოების პერსონაჟები გადაწყვეტენ, ბავშვი **შეიყვანონ იქსზე**, რადგან იქსი **სპორტიცაა**, **ხელოვნებაც** და **ფილოსოფიაც**. იქსთან დაკავშირებულ ერთ **ინგლისურენოვან** სერიალში პერსონაჟს **ფოტოს გადაღებისას** სთხოვენ, წარმოთქვას სიტყვა "**Queen**" [ქვინ]. დაასახელეთ იქსი.

პასუხი: ჭადრაკი
კომენტარი: გურამ დოჩანაშვილის ნაწარმოების პერსონაჟები გადაწყვეტენ, ბავშვი ჭადრაკზე ატარონ, რადგან, მათი თქმით, ჭადრაკი ერთდროულად არის სპორტიც, ხელოვნებაც და

ფილოსოფიაც. სერიალში “ლაზიერის გამბიტი” პერსონაჟს ფოტოს გადაღებისას სთხოვენ, წარმოთქვას არა “Cheese”, არამედ “Queen”, რაც ინგლისურ ენაში ჭადრაკის ფიგურას - ლაზიერს გულისხმობს.

11. 6-ქულიანი შეკითხვა
[დასარიგებელი მასალა

]

მასალაზე გამოსახული ჩაიდანი **ინტერნეტსივრცეში დიდი პოპულარობით სარგებლობდა**, თუმცა **მწარმოებელ კომპანიას** ხშირად **აკრიტიკებდნენ**. კრიტიკის მიზეზი იყო ის, რომ ჩაიდანი **მიამსგავსეს 1889 წელს დაბადებულ ადამიანს**. დაასახელეთ ეს ადამიანი.

პასუხი: ადოლფ ჰიტლერი
კომენტარი: ჩაიდანი მალევე იქცა მიმებისა და სახუმარო პოსტერების შთაგონების წყაროდ, რადგან მისი სახელური მიამსგავსეს ჰიტლერისთვის დამახასიათებელ ვარცხნილობას, ხოლო თავსახური - ულვაშს.

12. 7-ქულიანი შეკითხვა
საფრანგეთის მარშალი ფერდინანდ ფოში მიიჩნევდა, რომ **იქსის პირობები** მეტისმეტად **მოწყალე** იყო **დამარცხებული** მხარის მიმართ. ფოში იქსის შესახებ ამბობდა: “ეს არ არის მშვიდობა. ეს არის **დაზავება** სულ რაღაც **20 წლით**”. დაასახელეთ იქსი **ორი** ან **სამი** სიტყვით.

პასუხი: ვერსალის საზავო ხელშეკრულება
ჩათვლა: ვერსალის ხელშეკრულება, ვერსალის ზავი
კომენტარი: ფერდინანდ ფოში მიეკუთვნებოდა მათ რიცხვს, ვინც მიიჩნევდა, რომ პირველ მსოფლიო ომში დამარცხების შემდეგ გერმანიისთვის უფრო მძიმე საზავო პირობები უნდა წაეყენებინათ, რათა გერმანიას სამომავლოდ საფრანგეთზე თავდასხმა აღარ შესძლებოდა. 1919 წელს გაფორმებულ ვერსალის ხელშეკრულებას ფოშმა უწოდა “დაზავება 20 წლით”. მართლაც, მეორე მსოფლიო ომი ზუსტად 20 წლის შემდეგ დაიწყო.

13. 5-ქულიანი შეკითხვა
ერთი სიმღერის ლირიკული გმირები **ტყუპი დები** არიან. **სიმბოლურია**, რომ **პირველი ტკბილეული**, რომელიც ამ ტყუპმა დებმა **გასინჯეს**, იყო **იქსი**. წინა წინადადების ერთ-ერთ სიტყვაში ჩვენ **გამოვტოვეთ ორი თანხმოვანი**. აღადგინეთ სიტყვა თავდაპირველი ფორმით.

პასუხი: ტვიქსი
კომენტარი: ამ შოკოლადის ბატონის პოპულარული სარეკლამო კამპანიის მიუხედავად, ტვიქსის შოკოლადი ორი იდენტური ნაწილისგან შედგება. სიმბოლურია, რომ სიმღერაში მოხსენიებულმა იდენტურმა ტყუპებმა გასინჯეს ტვიქსი.

14. 6-ქულიანი შეკითხვა
ფარაონი იბი სულ რაღაც **2 წლის განმავლობაში მართავდა**. ერთი ვერსიით, სწორედ **ამიტომაა**, რომ **იბის იქსი** ერთ-ერთი **ყველაზე პატარაა** იქსებს შორის. დაასახელეთ იქსი ერთი სიტყვით.

პასუხი: პირამიდა
კომენტარი: ერთი ვერსიით, იბის მმართველობის ხანმოკლეობაა იმის მიზეზი, რომ მას ერთ-ერთი ყველაზე პატარა პირამიდა აუგეს.

15. 7-ქულიანი შეკითხვა
ერთი მულტსერიალის პერსონაჟები თავს **თაღლითურ ფინანსურ სქემაში** გაყოფენ. იმავე მომენტში პერსონაჟები **ივარაუდებენ**, რომ მათ **იების ვალი** აქვთ. წინა წინადადების ერთ-ერთ სიტყვაში ჩვენ **გამოვტოვეთ სამი ასო**. აღადგინეთ სიტყვა თავდაპირველი ფორმით.

პასუხი: მუმიების
კომენტარი: საეჭვო, თაღლითურ ფინანსურ სქემებს ფინანსური პირამიდები ეწოდება. პერსონაჟებმა პირამიდის გაგონებისას ივარაუდეს, რომ მათ მუმიების ვალი აქვთ.